

## შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას ეკონომიკის მასწავლებლის თანამდებობაზე

**თანამდებობის მიზანი:** ევროპული სკოლის მოსწავლეებისთვის ეკონომიკის სწავლება და კომპეტენციის ფარგლებში სილაბუსით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.

### ფუნქცია-მოვალეობები:

- სასწავლო პროგრამის მიზნებისა და ინდიკატორების შესაბამისი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა; კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებს მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- სემესტრული სილაბუსებისა და თემატური გეგმის შედგენა; შეფასების რუბრიკების შექმნა და შეფასების სტრუქტურის შესახებ მოსწავლეების მუდმივი ინფორმირება;
- სასწავლო პროგრამის შესაბამისი მეთოდების გამოყენება; მოსწავლეთა ასაკობრივი და სხვა ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სასწავლო მეთოდების შერჩევა და სასწავლო პროცესის წარსამართად მათთვის აუცილებელი რესურსების მიწოდება;
- სასწავლო პროგრამით/სილაბუსით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მონიტორინგი და შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება;
- გაკვეთილების დაგეგმვა, ჩატარება და საგაკვეთილო პროცესის მართვა;
- მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე ზრუნვა; ნებისმიერი პრობლემის/შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება; დამრიგებლის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მშობლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ინფორმირება;
- მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მიზნით შემაჯამებელი, სადიაგნოსტიკო და სხვა სახის ტესტების მომზადება; ტესტის შედეგების ანალიზი, რეფლექსია, მოსწავლეებისთვის დროული და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა; მოსწავლეთა ტესტების/ნამუშევრების შენახვა სკოლაში დადგენილი სტანდარტების მიხედვით;
- სასწავლო და პერსონალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელება;
- საჭიროებისამებრ მოსწავლეებისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება;
- საჭიროებისამებრ კლასგარეშე სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის შერჩევა, დამოწმება და მოსწავლეებისთვის დროული მიწოდების უზრუნველყოფა;
- იმ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა, შესრულება და განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს სილაბუსით გათვალისწინებული პროგრამის შესწავლას;
- მშობელთა კრებებზე დასწრება, კრებებისთვის შესაბამისი რეპორტების მომზადება; საჭიროებისამებრ მშობლებთან მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის ინდივიდუალური განხილვა;
- ელექტრონული ჟურნალის წარმოება: საშინაო დავალებების შეტანა, საჭიროების შემთხვევაში თითოეულ მოსწავლეზე რეპორტების დაწერა, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა, ქულებისა და კომენტარების სახით დოკუმენტაციის წარმოება;
- დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმირება სასწავლო გეგმის მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ;
- დეპარტამენტის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება; პროფესიული სიახლეების მუდმივი გაცნობა-ათვისება;
- საგნის პორტფოლიოს სრულყოფილი წარმოება;
- კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

### კვალიფიკაცია:

#### განათლება

- ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში;
- სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში;

### გამოცდილება

- ეკონომიკის პედაგოგად ან ეკონომისტად მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;

### ცოდნა, უნარები, და სხვა შესაძლებლობები:

- კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი;
- ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- IB-ის ფილოსოფიის ზედმიწევნით ცოდნა;
- IB-ის მეთოდოლოგიისა და ტექნიკების ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
- სასურველია სხვა უცხო ენის ცოდნა.

### კომპიუტერული პროგრამები:

- MS Office, Outlook

### პიროვნული მახასიათებლები:

- კომუნიკაბელურობა;
- ორგანიზებულობა;
- პუნქტუალურობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- კრეატიულობა;
- თვითგანვითარებისთვის მზაობა;
- სტრესის მართვის უნარის ფლობა;
- გუნდური მუშაობის უნარის ფლობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [vacancy@europeanschool.ge](mailto:vacancy@europeanschool.ge) 2019 წლის 31 ოქტომბრამდე.

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

*აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის" ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.*